# დღეს და ხვალ

ასპარეზობის დასაწყისი: დღეს — 16 საათზე, ხვალ — 12 საათზე.

# ყველანი იპოდრომზე!



საქართველოს სოფლის უძლიერესი მხედრები რესპუბლიკის პირველობას გაითამაშებენ დაბრკოლებათა გადალახვაში („სამონადირო პარკური“, „რთული კლასი“ და „ამორჩევითი“), მარულაში 8 და 10 კილომეტრზე, 3 კილომეტრზე თარჯღოლში, ისინდსა და ცხენბურთში, აგრეთვე სამჭიდში.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 140 (2503) ◉ შაბათი, 18 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 2 კაპ.


## ფინიში — 12 ნოემბერს

15 აგვისტო — „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)

სსრ კავშირის XXVI საფეხბურთო ჩემპიონატის I წრის დამთავრებამდე 18 მატჩი დარჩა. უკვე 25 ივლისს „ვოლგასა“ და „სპარტაკის“ შეხვედრით დაიწყება მეორე, გადამწყვეტი წრე.

ჩემპიონატი დამთავრდება გვიან შემოდგომაზე — 12 ნოემბერს მოსკოვსა და კიშინიოვში. ამ დღეს მოსკოვის დინამოელები მიიღებენ „კაირატს“, ხოლო „მოლდოვა“ ეთამაშება „სპარტაკს“.

პირველი წრის გამოტოვებულ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან: 25 ივლისს — „ზენიტი“ — „დინამო“ (მინსკი), 29 ივლისს — „შინიკი“ — „მოლდოვა“, 1 აგვისტოს — „დინამო“ (მინსკი) — ცსკა, 2 აგვისტოს — „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“, „ზენიტი“ — „დინამო“ (მოსკოვი), 6 აგვისტოს — „შინიკი“ — „დინამო“ (მოსკოვი).

სსრ კავშირის თასის მერვედფინალის სამი მატჩი გაიმართება: 6 აგვისტოს — „სპარტაკი“ — „კაირატი“, 10 აგვისტოს — „დინამო“ (კიევი) — „ნეფტიანიკი“, 15 აგვისტოს — „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

## კიევის ფიცარნაგზე

კიევი, 17 ივლისი. (ტელეფონით). სსრ კავშირის ძალოსანთა პირველობაზე გუშინ კიდევ ორ წონაში გამოირკვა ჩემპიონები. ქვემსუბუქ წონაში ძირითადი ამ საპატიო წოდების პრეტენდენტები ორი ევგენი იყო — კაცურა და მინაევი. პირველმა წარუმატებლად აილო სტარტი, მაგრამ სამჭიდის ბოლო მოძრაობაში — აკვრაში — შესანიშნავმა კილოგრამებმა (137,5) მას საბოლოო ჯამში ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა — 367,5 კგ.

მსუბუქ წონაში დაძაბული ბრძოლა გაიმართა ვ. კაპლუნოვსა და ვ. ბუშუევს შორის. გამარჯვება კაპლუნოვს დარჩა, რომელმაც ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად, ახალი საკავშირო რეკორდიც დაამყარა სამჭიდის ჯამში — 422,5 კილოგრამი (ს. ლოპატინის რეკორდი 5 კილოგრამით გააუმჯობესდა). ერთნაირი კილოგრამები დააგროვეს ვ. ბუშუევმა და ნ. ნაგაიცევმა, მაგრამ ვერცხლის მედალი უკანასკნელს მიეკუთვნა, რომელიც მეტოქეზე 100 გრამით უფრო მსუბუქი აღმოჩნდა.

დღეს გაიმართა ქვესაშუალო წონის შტანგისტთა ასპარეზობა. ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა 23 წლის ხაბაროვსკელმა არმიელმა ვ. კურენცოვმა — 440 კგ (140+125+175). მეორე ადგილზე გამოსულმა ვ. ბელიაევმა (კიევი) დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი აკვრაში — 176,5 კგ.

საშუალო წონის ძალოსანთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა კიეველმა ვ. შიშოვმა. მან სამჭიდის ჯამში 450 კილოგრამი დააგროვა. ახალგაზრდა ძალოსანი მოსკოვში ახლახანს დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე მეორე იყო.



საქართველოს სოფლის ცხენოსანთა პირველობაზე წარმატებით გამოვიდა გულრიფშელი მხედარი ნ. კვირკველია. მან დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე“ საჯარიმო ქულების გარეშე დაამთავრა დისტანცია და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## უკანასკნელი საათი...

◆ **მოსკოვი**, 17 ივლისი. ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეს გაფრინდა ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი, რომელიც 25-26 ივლისს ლოს-ანჟელოსში ტრადიციულ მატჩში შეხვდება მასპინძლებს. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან: ვ. ბრუმელი, ტ. შჩელკანოვა, პ. ბოლოტნიკოვი, ლ. გურევიჩი, ი. ლუსისი, ა. ხრამსკი და სხვ.

◆ **კისლოვოდსკი**, 17 ივლისი. სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის VI ტურში ავერბახმა მოუგო ფიხტლს (ჩეხოსლოვაკია). კლიუგერ (უნგრეთი) — ბრადვარევიჩის (იუგოსლავია), ხასინ — ლიბერზონის, ფუქს (გდრ) — შტეინის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ტურნირს 4,5 ქულით ლიდერობს სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. შტეინი.

◆ **ლენინგრადი**, 17 ივლისი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირ—იუგოსლავიის საჭადრაკო მატჩი. გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა — 38,5:21,5.

◆ **მოსკოვი**, 17 ივლისი. ალჟირელმა ფეხბურთელებმა ადგილობრივი „სპარტაკის“ წინააღმდეგ მატჩი იერიშით დაიწყეს და უკვე მე-6 წუთზე ანგარიშიც გახსნეს. სპარტაკელებმა მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს მეტოქეთა წინააღმდეგობის გატეხა და გამარჯვების მოპოვება — 3:1. ბურთები გაიტანეს: ბუშაშმა (ალჟირი), ლოგოფეტმა (2) და ჰუსაინოვმა.

## თბილისელთა „დუეტის“ წარმატება

**მოსკოვი**, 17 ივლისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). გუშინ ნორჩი პიონერების სტადიონის ტრეკზე დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი სალიდერო რბოლაში. ოქროს მედლების მოპოვებისთვის ბრძოლაში ჩაება 30-მდე „დუეტი“.

25 კილომეტრზე რბოლაში საუცხოოდ გამოვიდა თბილისელი ო. პროკოპენკო, რომელმაც თავის ლიდერთან — ი. კავსაძესთან ერთად ეს მანძილი დაფარა 24.33,7 და პირველი ადგილი მოიპოვა.

ასპარეზობა 19 ივლისამდე გაგრძელდება.

## ● საქართველოს მოფარიკავეთა ტრიუმფი

სტუდენტთა თამაშები

## ● ვ. სავინას ახალი საკავშირო რეკორდი

**კაუნასი**. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა სტუდენტთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფარიკაობაში. ტურნირის დასკვნითი აკორდი იყო დაშნით მოფარიკავეთა ასპარეზობა, რომელშიც პირველი ადგილი არავის დაუთმეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა.

საერთო გუნდური პირველობისთვის იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის 20 უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივები. საუკეთესონი აქაც ქართველი მოფარიკავეები აღმოჩნდნენ: სტუდენტთა თამაშების ჩემპიონის წოდება მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა.

საერთო-გუნდურ ჩათვლაში მეორე საპრიზო ადგილიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სტუდენტებს ხვდათ წილად. ესენი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენები.

ტრიუმფალური გამარჯვება! მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს ქართველ მოფარიკავეთა წარმატება კაუნასში.

ა. გოგელია

ვენტსპილსი (ლატვია). სტუდენტთა IV საკავშირო თამაშებზე წარმატებას მიაღწია მსოფლიო ჩემპიონმა ვ. სავინამ (ტულა). ხისსაფენიან ტრეკზე მან გიტში 500 მ აჩვენა 37,9 წამი, რაც ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდია (ძველი მიღწევა — 38,1 — ეკუთვნოდა ხარკოველ ი. კირილენკოს).

# შეიძინეთ სპორტული ლატარიის ბილეთები!




მიმდინარეობს 1964 წლის ფულადი და ნივთების ოლიმპიური ლატარიის ბილეთების რეალიზაცია. ლატარიის პირობების გამოქვეყნების დღიდან ბევრი შეკითხვა შემოდის საქართველოს სპორტკავშირისა და „ლელოს“ რედაქციაში, — გვეკითხებიან — სად შეიძლება ბილეთების შეძენა.

რესპუბლიკაში სულ გავრცელდება 1.260.000 ცალი ბილეთი, რომლებიც ასეა განაწილებული: აფხაზეთში — 100.000 ბილეთი, აჭარაში—118.000, სამხრეთ ოსეთში — 30.000, თბილისში — 320.000, ქუთაისში — 76,000, ფოთში — 16.000, ჭიათურაში — 10.000, რუსთავში — 25.000, გორში — 13.000, ბორჯომში — 10.000, ზესტაფონში — 12.000, ზუგდიდში — 22.000, კასპში — 5.000, სამტრედიაში — 10.000, თელავში — 18.000, ტყიბულში — 10.000, წყალტუბოში 5.000.

დანარჩენი 460.000 ცალი ბილეთი დაურიგდა რესპუბლიკის რაიონების 35 სპორტკავშირს. ამგვარად, სპორტული ლატარიის ბილეთების შეძენა შეიძლება რესპუბლიკის ყველა კუთხეში, სადაც მათი რეალიზაციაა მოწყობილი, აგრეთვე სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოებთან, სპორტულ საზოგადოებებთან და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან შექმნილ სპორტული ლატარიის ხელშემწყობ კომიტეტებში. მოსახლეობაში სპორტული ლატარიის ბილეთების გავრცელება წარმოებს ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივების საშუალებით, უმაღლეს სასწავლებლებში — ფიზაღზრდის კათედრებზე, სკოლებში — ფიზაღზრდის მასწავლებლებთან, სპორტკავშირების სპორტულ ფედერაციებში, სპორტულ კლუბებში, სტადიონებზე, დარბაზებში და სპორტულ ღონისძიებებზე.

სპორტული ლატარიის ბილეთების შეძენა შეიძლება აგრეთვე „თბილკულტვაჭრობის“ სპორტულ მაღაზიებში, „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში, „საქწიგნის“ მაღაზიებში: (№ 1 — რუსთაველის გამზირი, № 2 — მარჯანიშვილის ქ., № 3 — შაუმიანის ქ., № 5 — ლენინის ქ., № 6 — პუშკინის ქ., № 10 — ოქტომბრის ქ.).

სპორტული ლატარიის ხელშემწყობ კომიტეტებს ბილეთების სრულ ნებაყოფლობით საფუძველზე ორგანიზებულად და დროულად გავრცელებაში ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივმა პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

იჩქარეთ, სპორტული ლატარიის ბილეთების შეძენა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორ «ფრონტზე» გამოცდა





## ჩვენი ოლიმპიელები

1964 წელი ღირსსახსოვარ თარიღად დარჩება დავით გვანცელაძის ცხოვრებაში. ამ წელს მან ორჯერ წარმატებით ჩააბარა ძნელი გამოცდა საჭიდაო ხარბიელზე და ახლა ბეჯითად ემზადება იაპონიის მიწაზე საოქტომბრო ოლიმპიური შერკინებისათვის.

დიახ, სპორტსმენისათვის დიდი შინაარსითაა დატვირთული ეს ზაფხული.

მაგრამ არანაკლებ ცხარე ზაფხული ელოდება მას... „მეორე ფრონტზე".

ამას წინათ დ. გვანცელაძემ კიდევ ერთი პასუხსაგები გამოცდა ჩააბარა მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდასთან მჯდომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიას პოლიტეკონომიაში.

ეს ფოტოსურათები მოყვარული სპორტსმენის „სუფთა პროფესიულ" თემას ეძღვნება.

აი, ერთ-ერთი კადრი უნივერსიტეტის საგამოცდო სესიებიდან. დოცენტი გ. პაპავა კონსულტაციას უტარებს სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციასა და დაგეგმვაში მეხუთეკურსელ სტუდენტს დ. გვანცელაძეს (პირველი ფოტო). ეს ამ ორიოდე თვის წინ იყო.

ტოკიოს ბატალიების შემდეგ დიპლომანტი დ. გვანცელაძე თავისი ნაშრომით სპეციალური კომისიის წინაშე წარდგება. თემა — „ელექტრონიკური მრეწველობის საწარმოს შრომისა და ხელფასის გეგმა, მისი შინაარსი, მაჩვენებლები და დასაბუთება საწარმოს მაგალითზე" მნიშვნელოვნად შრომატევადია. დ. გვანცელაძემ მასზე მუშაობა ჯერ კიდევ გასული წლის საწარმოო პრაქტიკის პერიოდში დაიწყო. იგი ბეჯითად აგროვებდა საჭირო მასალებს, ეცნობოდა ლიტერატურას, წერდა სადიპლომო შრომას (მეორე ფოტო).

თავისუფალ დროს დავითს უყვარს თავისი მეუღლის მანანას ფორტეპიანოზე დაკვრის მოსმენა (მესამე ფოტო). ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დავითისთვის ნოტები უცხო ხილი როდია! მშობლებს სურდათ იგი მუსიკოსი გამხდარიყო. ბავშვობისას მუსიკალურ სასწავლებელში დაჰყავდათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, იგი ეკონომისტი და მოჭიდავე გამოვიდა.

ახლა მისი მეუღლე დილიდან საღამომდე „ესაუბრება" კლავიშებს. ამ ზაფხულს მასაც დიდი გამოცდა ელის. შარშან მანანამ მე-4 მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა და წელს კონსერვატორიაში მისაღებ გამოცდებს აბარებს.

დიახ, მრავალმხრივ ღირსახსოვარია 1964 წელი გვანცელაძეებისათვის.

ბ. თარხნიშვილი

ფოტო ავტორისა.



## რატომ ვერ შეძლეს?

დონეცკში დამთავრდა საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების მორიგი საკავშირო პირველობა მძლეოსნობაში, სტარტზე გამოსული 700 სპორტსმენიდან 84 ოსტატი იყო.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლენინგრადის სპორტკლუბ „ზენიტის" მძლეოსნებმა. მომდევნო ადგილებზე არიან გასული წლის ჩემპიონი „მეტეორი" (დნეპროპეტროვსკი) და მოსკოვის ოლქის „ვიმპელი".

ცუდი ამინდის მიუხედავად, ნაჩვენები იქნა ბევრი მაღალი შედეგი. მოსკოველმა კ. პუშკარიოვამ დაძლია 171 სმ სიმაღლე, ვაჟთა შორის პირველ ადგილზე გამოსულმა ა. ხრამსკიმ („მეტეორი") კი 210 სმ. ლენინგრადელმა ი. ზახაროვმა ურო ტყორცნა 63,81 მეტრზე, სპორტკლუბ „სოკოლის", წარმომადგენელმა, 18 წლის სარატოველმა ნ. ბურდემ თავისი დაბადების დღეს 200 მეტრი 24,5 წამში გაირბინა და პირველობაც მოიპოვა.

ჩვენი რესპუბლიკიდან ამ შეჯიბრებაზე მონაწილეობა უნდა მიეღო სპორტკლუბ „განთიადის" მძლეოსანთა კოლექტივს, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ვერ შეძლეს გუნდის დროულად მომზადება და მისი მივლინება შეჯიბრებაზე. ფაქტი მეტად დამაფიქრებელია, მით უმეტეს, რომ მომავალ წელს გაიმართება სპორტკლუბების მორიგი საკავშირო სპარტაკიადა. ნუთუ ძნელი იყო, რომ ამ კარგი სპორტული ტრადიციების მქონე საზოგადოებას დროულად ეზრუნა დონეცკში მოწყობილ ღონისძიებაზე გუნდის გასაგზავნად?!

## მარმანდელზე უკეთესად

### ნორჩ მოცურავეთა რესპუბლიკური რეკორდები

ლვოვის „დინამოს" აუზში ხუთ დღეს გრძელდებოდა „ნორჩი დინამოელის" საკავშირო პირად-გუნდური პირველობა ცურვაში. სტარტზე გამოვიდნენ მოსკოვის, ლვოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, ტარტუსა და სხვა ქალაქების 22 სპორტსკოლის აღზრდილები. ჩვენი რესპუბლიკიდან ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისისა და სოხუმის გუნდები.

წინა წლებისგან განსხვავებით, შეჯიბრების მონაწილენი კარგად იყვნენ მომზადებული. თბილისელმა და სოხუმელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიპოვეს მრავალი საპრიზო ადგილი, გააუმჯობესეს 6 რესპუბლიკური რეკორდი.

რეკორდების ანგარიში გახსნა თბილისელმა ა. იოაკიმიდიმ, რომელმაც 400 მ კომპლექსურ ცურვაში აჩვენა 5.24,8. ეს მიღწევა 6,8 წამით აღემატება ჭაბუკთა ძველ რეკორდს, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ჭაბუკს არ ჩამორჩა ნ. ჩუგუევსკაიაც. ამ გოგონამ 100 მ თავისუფალი სტილით წინასწარ შეჯიბრებაზე 1.09,0 წამში გაცურა და გააუმჯობესა გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი. მან ყველას აჯობა ფინალურ გაცურვაშიც.

ნ. ჭუმბაძემ თავი ისახელა ჯერ 50 მ ზურგზე ცურვაში (34,0) — დაამყარა გოგონათა რეკორდი და პირველობაც დაისაკუთრა, ხოლო შემდეგ 100 მ — აჩვენა 1.15,8 (გოგონათა და მოზრდილთა რესპუბლიკური რეკორდი) და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

საქართველოს მოცურავეებმა ორი პირველი ადგილი მოიპოვეს 50 მეტრზე ბრასით ცურვაში. გოგონათა შორის უძლიერესმა ვ. ანიკინამ ეს მანძილი 39 წამში გაცურა, ხოლო ჭაბუკებში საუკეთესომ, სოხუმელმა ვ. ჭოლარიამ — 33,9 წამში. მას 1,1 წამით ჩამორჩა ვ. ბერიძე (III ადგილი).

ჩვენებმა თავი ისახელეს სხვა გაცურვებშიც. გოგონათა შორის ნ. ჩუგუევსკაიამ 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მართალია III ადგილი მოიპოვა, მაგრამ გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი — 31,4, ვ. ანიკინამ საპრიზო ადგილი დაისაკუთრა 100 მ ბრასით ცურვაში. ჭაბუკთა შორის პრიზიორები გახდნენ: გ. კასატკინი (50 მ ზურგზე ცურვა), ა. იოაკიმიდი (50 მ თავისუფალი სტილით ცურვა), ვ. ჩოლარია (200 მ ბრასით ცურვა) და სხვ.

შეჯიბრებაზე I თანრიგის ნორმატივები პირველად შეასრულეს სოხუმელმა ს. ლივანოვამ (400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში — 5.44,8) და თბილისელმა გ. შიხიკიანმა (1.500 მეტრზე ცურვაში — 20,30,9).

საქართველოს გოგონათა ნაკრებმა პირველობის შემდეგ იეროში მიიტანა რესპუბლიკურ რეკორდზე ამანათცურვაში 4×100 მ თავისუფალი სტილით და მიზანსაც მიაღწია. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. ანიკინა, ნ. ჟიგალიოვა, ნ. ჭუმბაძე და ნ. ჩუგუევსკაია, — აჩვენა კარგი დრო 4.56,2.

საერთო გუნდურ ჩათვლაში თბილისის კოლექტივმა გასული წლის VI ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა.

ლ. იოაკიმიდი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## მეორე ჯგუფში — პირველნი

გორკი, 17 ივლისი (ტელეფონით). აქ დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მორიგი ჩემპიონატი მძლეოსნობაში. წარმატებით გამოვიდა „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები, რომელიც II ჯგუფის გუნდების ტურნირში მონაწილეობდა. საქართველოს დინამოელებმა გუნდურ ჩათვლაში I ადგილი მოიპოვეს.

პირად პირველობაში საქართველოს სპორტსმენებმა არა ერთი საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს, რომელთაგან აღსანიშნავია ოლიმპიური ჩემპიონის — რ. შავლაყაძის გამარჯვება სიმაღლეზე ხტომაში (208 სმ), ა. დიაჩკოვ-დუმბაძისა — შორს ხტომაში — 452 სმ (ახალი რესპუბლიკური რეკორდი). მეორე ადგილები მოიპოვეს ა. შჩერბინამ (20 კმ სპორტულ სიარულში), გ. გუდაშვილმა (ბადროს ტყორცნაში, ქ. გორძემაშვილმა (შუბის ტყორცნაში) და სხვ.

## მძლეოსნობა?!

დამთავრდა რესპუბლიკური სპარტაკიადა ტექნიკურ სასწავლებლებს შორის. ასპარეზობაში მონაწილე გუნდები სპორტის ხუთ სახეობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.

დღემდე ჩატარებული ყველა სპარტაკიადის (შიდასაკოლექტივო, საქალაქო თუ რესპუბლიკური) საბოლოო მიზანია საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლა. ამიტომ რესპუბლიკური სპარტაკიადიდან სწორი დასკვნების გამოტანა სარგებლობის მეტს არაფერს მოგვიტანს და, პირიქით: არასწორ ანალიზს, ნაკლოვანებების მიჩქმალვას, მუშაობაში ხელის შემშლელი პირობების შეგნებულად დაფარვას, ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

ამ წერილის მიზანი არაა სპარტაკიადაში მონაწილე ყველა გუნდისა თუ კოლექტივის პიოგრაფიის, მათი მიღწევებისა თუ ჩავარდნების აღწერა-აღნუსხვა. ჩვენ აქ მხოლოდ თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმზე გვექნება საუბარი.

ეს ტექნიკუმი, რომელშიც 1.000-მდე ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს, ერთ-ერთი მძლავრი სასწავლებელია რესპუბლიკაში. ზემოდასახელებული რიცხვიდან 735 სტუდენტი სხვადასხვა სპორტულ სექციაშია ჩაბმული. კაცმა რომ თქვას, ეს მასობრიობის ცუდი მაგალითი როდია და თუ გადავხედავთ გასული წლის გეგმებს, დავინახავთ, რომ ყველაფერი რიგზეა. აი, დამადასტურებელი ფაქტებიც: უნდა მომზადებულიყო: 115 ნიშნოსანი, მომზადდა 182, პირველთანრიგოსანი — 4, მომზადდა 4, მეორე თანრიგოსანი — 9, მომზადდა 26 და ა. შ.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმების საქმეც არ არის ურიგოდ.

რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ტექნიკუმის კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა (მწვრთნელი ა. წერეთელი) მძიმე ბრძოლებში პირველობა მოიპოვეს. მათ არც ფრენბურთელი ქალიშვილები (მწვრთნელი ვ. მაჭავარიანი) ჩამორჩნენ და ჩემპიონობა არავის დაუთმეს.

გასული და მიმდინარე წლის სამუშაო გეგმების შესრულებას მეტი ნაყოფი ექნებოდა, რომ სპორტი ცალმხრივად არ ვითარდებოდეს ტექნიკუმში. აბა რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ტექნიკუმელებმა სპარტაკიადაზე არ გამოიყვანეს მძლეოსანთა გუნდი?!. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მძლეოსნობის სექციის მუშაობაში (მწვრთნელი ა. ახალკაცი) ყველაფერი რიგზე არაა და მის მუშაობას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივმა, ასევე დირექციამაც.

ხ. გოგოლაშვილი

## «ლელო» წერილის კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის ა. წ. 7 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილი — „დანაშაული და სასჯელი" — ეხებოდა ქ. ტყიბულში საქართველოს პირველობაზე გამართული მატჩისას (ადგილობრივ „მეშახტესა" და ზუგდიდის „ენგურჰესს" შორის) მომხდარ ხულიგნობას.

როგორც საქართველოს კომპარტიის ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ლომაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ზემოაღნიშნული საკითხი განიხილა პარტიული კომიტეტის ბიურომ და პარტიული სასჯელი დაადო იმ პირებს, ვინც შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „იმედის თასზე"

თბილისელმა ფეხბურთის მოყვარულებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს „იმედის თასის" მორიგი მატჩის მიმართ, რომელიც 16 ივლისს შედგა „დინამოს" სტადიონზე საქართველოსა და რსფსრ-ს ნაკრებ გუნდებს შორის.

საქართველოს კოლექტივი მართლაც ნაკრებს წარმოადგენდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ვინაიდან მის შემადგენლობაში (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კიკნაძე) შედიოდნენ თბილისის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, სამტრედიისა და გორის ფეხბურთელები. რაც შეეხება ჩვენს სტუმრებს, ეს იყო დონის როსტოვის არმიელთა ახალგაზრდული გუნდი, რომელიც კარგა ხანია შეთამაშებული და ერთად ნავარჯიშევი.

ქართველმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ დაიწყეს თამაში და უკვე მე-10 წუთისთვის მანაგაძემ ორჯერ ზედიზედ აიძულა მეკარე ლიევი გამოეტანა ბადიდან ბურთი.

მაგრამ სტუმრებმა მწყობრი კონტრშეტევით უპასუხეს ამ მარცხს და მალე გუროვმა ზუსტი დარტყმით გაქვითა გოლი. ტაიმის დასასრულამდე საქართველოს გუნდი კიდევ ერთი ბურთით გავიდა წინ, მაგრამ ეს უკვე მისი დამსახურება არ იყო. გოლი საკუთარ კარში გაიტანა ნახევარმცველმა პაუკომ — 3:1.

შესვენების შემდეგ თავი იჩინა ჩვენი ნაკრების შეუთამაშებლობამ. თავდასხმაში უმოქმედობას იჩენდნენ მანაგაძე, პერტენავა და მხოლოდ წოწორია თამაშობდა სრული სიძლიერით მარჯვენა ფლანგზე. მეკარე გორგოშიძეს, მცველებს ფრიდემანს, ებრალიძესა და გოგიას დიდი დატვირთვა დააწვათ. სტუმრები აქტიურად თამაშობდნენ მთელი ტაიმის განმავლობაში, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მათ შეძლეს, იყო მხოლოდ მეორე გოლი, გატანილი კაზაკოვის მიერ.

გამარჯვება დარჩა საქართველოს გუნდს — 3:2.

**ნ. კიკნაძე**

# ასპარეზობენ ნორჩი ფეხბურთელები

**ტალინი.** (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო მოსწავლე ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის გათამაშება ფეხბურთში.

პირველ დღეს გაიმართა ორი შეხვედრა. ბელორუსიისა და ლენინგრადის გუნდების მატჩი დამთავრდა ბელორუსელთა გამარჯვებით — 2:0. საქართველოს ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი ლატვიის ნაკრებთან და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:1.

**ფ. ჭელიძე**

✦

**ფუსტკი.** (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო ტურნირის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა", დონეცკის „შახტიორმა", როსტოვის არმიელთა გუნდმა, არმავირის „ტორპედომ", ერევნის „არარატმა", ცსკა-მ და თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდმა.

პირველი მატჩი ჩვენს გუნდს აქვს 19 ივლისს. მისი მეტოქეა როსტოვის სკა.

**გ. ბაქანიძე**

✦

ნახევარფინალური ჯგუფის მატჩები შედგება ქ. სალავათშიც (ბაშკირეთის ასსრ). აქ მონაწილეობენ: „დინამო" (თბილისი), „ენერგეტიკი" (დუშანბე), „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), „ისკრა" (ყაზანი), „სპარტაკი" (ბაქო), „ლოკომოტივი" (მოსკოვი).

# დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გაიმართა შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. „ა" კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდების — თბილისის „ლოკომოტივისა" და ფრუნზეს „ალგას" დუბლშემადგენლობათა შორის.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

## საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში

**„ბ" კლასი**

რსფსრ-ს IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივლისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „თერგი" (გროზნო) | 15 | 7 | 7 | 1 | 21—10 | 21 |
| „დინამო" (ბათუმი) | 16 | 7 | 7 | 2 | 17—8 | 21 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 15 | 8 | 5 | 2 | 20—12 | 21 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 16 | 9 | 2 | 5 | 21—10 | 20 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 16 | 5 | 8 | 3 | 21—18 | 18 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 16 | 7 | 4 | 5 | 16—16 | 18 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 17 | 6 | 6 | 5 | 12—12 | 18 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 16 | 6 | 4 | 6 | 22—16 | 16 |
| „დინამო" (სოხუმი) | 16 | 5 | 6 | 5 | 15—13 | 16 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 16 | 6 | 3 | 7 | 23—19 | 15 |
| „შრ. რეზერვები" (კავმინვოდი) | 16 | 3 | 9 | 4 | 11—15 | 15 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 16 | 4 | 6 | 6 | 15—21 | 14 |
| „შირაქი" (ლენინაკანი) | 15 | 4 | 5 | 6 | 10—14 | 13 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 17 | 5 | 3 | 9 | 11—22 | 13 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 16 | 5 | 3 | 8 | 15—31 | 13 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 14 | 3 | 6 | 5 | 12—12 | 12 |
| „დინამო" (ბაქო) | 16 | 4 | 3 | 9 | 16—23 | 11 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 15 | 1 | 7 | 7 | 7—13 | 9 |

## „დინამო" (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი" 1 : 0

**მოსკოვი. 16 ივლისი.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი".

მატჩი მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 1:0. ერთადერთი ბურთი 70-ე წუთზე გაიტანა ახალგაზრდა ვ. ივანოვმა.



ნაყოფიერად მუშაობს თელავის ახალგაზრდული სპორტული სკოლის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჯგუფი, რომელშიც ბევრი პერსპექტიული ჭაბუკია გაერთიანებული.

სურათზე: მწვრთნელი, სპორტის ოსტატი კ. ნადირაშვილი ამეცადინებს თავის აღსაზრდელებს.

ფოტო ო. ივდოშვილისა.

# უკან დარჩა 2.850 კილომეტრი

წერილი გზიდან

ოლავენ ალბათ ჩვენი გულშემატკივრები. ყველაფერი კარგადაა, მეგობრებო! ჯანმრთელად და მხნედ ვართ!

ჩვენი წინა წერილი ბელგოროდის ამბებით მთავრდებოდა. იქ დიდხანს არ დავრჩენილვართ, მეორე დღესვე გავუდექით კურსკის გზას და მერვე დილით კურსკში ვიყავით. საშუალო სიჩქარე საათში 17-20 კილომეტრია, დღეში 120-150 კმ-ს გავდიოდით.

ბელგოროდისა და კურსკის ოლქების საზღვართან დიდ კვარცხლბეკზე დგას ტანკი საბჭოთა არმიის გამარჯვების აღსანიშნავად. აქვე აღმართულია ძეგლი მფრინავი გამანადგურებლის გოროვცასი, რომელმაც 1943 წლის 6 ივნისს ერთმა მოსპო მტრის 9 თვითმფრინავი. ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა საჰაერო ბრძოლების ისტორიაში.

დავათვალიერეთ კურსკის ბრძოლების მუზეუმი. ექსკურსიამძღოლობა გაგვიწია ამ ბრძოლების მონაწილემ, საბჭოთა კავშირის გმირმა, თადარიგის პოლკოვნიკმა ნ. გლისიუკმა.

ჩვენს იქ ყოფნას დაემთხვა რუსული ხალხური დღესასწაული „ბერიოზკა". სოფლებსა და ქალაქებში, სადაც კი გავიარეთ, რუსული ბუნების სილამაზის ნამდვილი დღესასწაული იყო.

ორიოლი! ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვნახეთ საინტერესო ექსპონატი: მსოფლიოში პირველი ორთვლიანი ველოსიპედი! იგი რუს ყმას ეფიმ არტამანოვს გაუკეთებია 1801 წელს და მერე 3.000 კილომეტრზე მეტი მოუვლია ამ თვითნაკეთი „ტრანსპორტით". გამოგონების საფასურად არტამანოვი მეფეს ყმობიდან გაუთავისუფლებია.

ტულის ტურისტული კლუბის დირექტორმა თავისი სამუშაო ოთახი დაგვითმო. საინტერესო ქალაქია ტულა თავისი ისტორიული ძეგლებით. დავათვალიერეთ კრემლი, უსპენსკის ტაძარი, იარაღის მუზეუმი, სადაც ინახება ყველა სახის იარაღი, რაც კი ამ ქალაქში გამოუშვიათ.

ვეწვიეთ იასნაია პოლიანას. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ლევ ტოლსტოის სახლ-მუზეუმმა, ნაკრძალმა...

ტრასა ტულა — სერპუხოვო — მოსკოვი დაუბრკოლებლად გავიარეთ. ხარკოვის შემდეგ შესანიშნავი ამინდი დაგვესწრო. და აი, მოსკოვიც!

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში გულთბილად მიგვიღეს. დავბინავდით თუ არა, შევუდექით ქალაქის გაცნობას. დავათვალიერეთ კრემლი, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, უნივერსიტეტი, ტრეტიაკოვის გალერეა, სახვითი ხელოვნების პუშკინის სახელობის მუზეუმი, ვ. ი. ლენინისა და რევოლუციის მუზეუმები...

... ვტოვებთ მოსკოვს. 88-ე კილომეტრზე შევისვენეთ კლინში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი რუსი კომპოზიტორი ჩაიკოვსკი. კომპოზიტორის სახლ-მუზეუმში გამოფენილია მსოფლიოში ყველაზე პატარა ვიოლინო, რომელიც მუზეუმს ტოკიოს მუსიკალურმა საზოგადოებამ უსახსოვრა.

გვიან საღამოს ჩავედით კალინინში. მხარეთმცოდნეობის აქაურმა მუზეუმმა საშუალება მოგვცა გავცნობოდით ტვერის წარსულს. მუზეუმის გვერდითაა სამხატვრო გალერეა, სადაც ბევრი საინტერესო ნამუშევარია გამოფენილი.

ჩვენი შემდეგი შეჩერების პუნქტია ვიშნი ვოლოჩოკი. ეს ქალაქი ცნობილია მსუბუქი მრეწველობის კომბინატებით. აქ მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი ვალენტინა გაგანოვა. ვნახეთ ბამბეულის ფაბრიკა, ვნახეთ საამქრო, დაზგა, სადაც ამ სახელგანთქმული ქალის ბრიგადა მუშაობს. თვით ვალენტინას ღამის ცვლაში უმუშავნია და მისი ნახვა ვერ მოვახერხეთ.

ფაბრიკის კომკავშირული კომიტეტის წევრებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს თავიანთი ფაბრიკის გაცნობაში. შევხვდით მოწინავე ბრიგადების ხელმძღვანელებსა და მუშებს.

ნოვგოროდი! უძველესი ქალაქი, ძველი რუსეთის გული მდინარე ვოლხოვის ორივე ნაპირზეა გადაშლილი. მისი კრემლი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სანახაობაა. ქალაქი სავსეა ეკლესიებით. წინათ გზა მოსკოვიდან პეტერბურგისკენ ნოვგოროდის კრემლში გადიოდა. აქ არაერთხელ გაუვლიათ პუშკინს, ლერმონტოვს, რილეევს, რადიშჩევს, ჩვენს ილიასა და აკაკის...

კომკავშირის ნოვგოროდის საოლქო კომიტეტში შესანიშნავად მიგვიღეს.

9 ივლისის ნაშუადღევს უკვე ლენინგრადში ვართ. აქ დავრჩებით 19 ივლისამდე. უკან დაგვრჩა 2.850 კილომეტრი!

ამინდები მოსკოვის შემდეგ გაფუჭდა. წვიმაა და ქარი. აგერ უკვე ერთი კვირაა, მზე არ გვინახავს.

განწყობილება მაინც საბრძოლოა, შთაბეჭდილებები კი გამოუთქმელი. წინ ისევ დიდი გზაა. 22 ივლისს ტალინში ვიქნებით.

**ზ. ფიფია,**
**გ. მანია,**
**ი. კვატაშიძე,**
**გ. ქურდიანი.**

ველოლაშქრობის მონაწილენი.

ლენინგრადი.

# ვარნიდან ოდესამდე

## 500 კმ ცურვით — შვიდ დღეში

15 ბულგარელი სპორტსმენი გადაცურავს ვარნიდან ოდესამდე. ეს გაცურვა ბულგარელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — „თავისუფლების დღის" 20 წლისთავს ეძღვნება.

გაცურვის საზეიმო სტარტი შედგა ვარნაში 15 ივლისს საღამოს. მანძილი ვარნიდან ოდესამდე 500 კილომეტრია და სპორტსმენებს გადაწყვეტილი აქვთ იგი 7 დღეში დაფარონ.

# გულახდილი საუბრის ნაცვლად...

მცხეთაში, „ლოკომოტივის" ბაზის ვრცელ ეზოში მზის სხივები ვერც კი ატანენ, ისეა იგი ხეებით დაბურული. აქ პაპანაქება სიცხეშიც კი საამოდ გრილა. აქ ცხოვრობენ თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები. მათთვის განკუთვნილია ორსართულიანი კოტეჯი, ხოლო სავარჯიშოდ სპორტსაზოგადოების ავტობუსით დიღმის ბაზაზე მიემგზავრებიან ხოლმე, სადაც მათ განკარგულებაშია მწვანე მინდორი, საშხაპე, განცალკევებული ოთახები.

ერთი სიტყვით, თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს ყველა პირობა აქვთ სავარჯიშოდ, დასასვენებლად, მოსამზადებლად. საჭიროა მხოლოდ...

აი, სწორედ იმაზე გვინდა ვისაუბროთ, თუ რაა საჭირო!

ვფიქრობთ, ზედმეტია შევახსენოთ ფეხბურთის მოყვარულებს ლოკომოტიველთა ბოლო მატჩი საკავშირო პირველობაზე ყარაგანდის „შახტიორთან". ყარაგანდელებთან ამ სამარცხვინო წაგების ავტორი იყო გუნდი მთელი თავისი შემადგენლობით, უკლებლივ. ცალკეულ მოთამაშეთა პასიურობა აღნიშნულ მატჩში თითქმის დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ციულ უმოქმედობას ჰგავდა, ხოლო მეკარე რუხაძემ წაგებული მატჩი „დააგვირგვინა" ყოვლად უხამსი, არასპორტული საქციელით, რომელმაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია ტრიბუნებზე და სათანადო გამოხმაურებაც ჰპოვა პრესაში.

აქ, მცხეთის სპორტული ბაზისკენ, „ლოკომოტივის" ფეხბურთელებთან მივემგზავრებოდით ჩვენ. — ჩვენ — ესაა ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე გ. ჯინჭარაძე, მთავარი მწვრთნელი დ. ცომაია, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" თავმჯდომარე თ. კაჭახიძე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკი და გაზეთების წარმომადგენლები. მივემგზავრებოდით ერთობ მშვიდობიანი, კეთილი მიზნით: გვსურდა გვესაუბრა სპორტსმენებთან, გამოგვერკვია საერთო განწყობილება კოლექტივში, ბოლო წარუმატებლობის მიზეზები, გვესაუბრა დისციპლინაზე.

მაგრამ ჩვენს კეთილმოსურნეობას თავშივე ფრთები შეეკვეცა. დაბურული ხეების ჩრდილში დაგვხვდა თითქმის მტრული, უსიმპათიო განწყობილება: ფეხბურთელთა შემოხედვაში იგრძნობოდა „ცივი ომის" გამოწვევა და რაღაც ყალბი გულგრილობა.

საუბარი დავიწყეთ იმით, რომ სპორტსმენებს ვთხოვეთ... ჩაეცვათ ტანზე და ფეხზე. დიახ, დიახ, უფროსი ამხანაგების წინაშე ისინი უდარდელი პოზით ისხდნენ ტანშიშველნი და ფეხშიშველნი (რა თქმა უნდა, ყველა არა). როცა ლოკომოტიველთა ეკიპირებამ ასე თუ ისე ნორმალური სახე მიიღო, შევუდექით „დიპლომატიურ მოლაპარაკებას".

გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ზ. ქვარიანმა, გუნდის უფროსმა ნ. კეშელავამ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა მდგომარეობაა კოლექტივში, როგორ გამოასწორა მან ცუდი სტარტი და სადღეისოდ გათამაშების ლიდერთა შორის დაიმკვიდრა ა დ გ ი ლ ი.

გულახდილი და საქმიანი იყო მწვრთნელთა გამოსვლა. მათ არ მიუჩქმალიათ ნაკლოვანებანი, არ დაუმალავთ თავიანთი შეცდომები.

სულ სხვა „ჰანგები" სჭვიოდა მოთამაშეთა გამოსვლებში. მთელი კოლექტივის სახელით პასუხის გაცემა იკადრა მხოლოდ ორმა კაცმა: გუნდის კაპიტანმა მ. იაშვილმა და კომორგმა ნ. ახალკაცმა, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ დაბეჯითებით და კატეგორიულად მოთხოვეს მცირე ხნით მაინც დაეკავებინათ „ტრიბუნა".

ო, ეს იყო ორატორული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში, გამართული, ლოგიკურად და ადვოკატურად დასაბუთებული სიტყვები. ბოლოსდაბოლოს საქმე შეტრიალდა ისე, რომ „დამნაშავენი" იყვნენ არა თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები, არამედ ჩვენ, მათთან სასაუბროდ მოსული უფროსი ამხანაგები. კიდევ მეტიც: მ. იაშვილმა „დაგვარწმუნა", რომ რუხაძეს 13 ივლისს ცუდი არაფერი ჩაუდენია მინდორზე და უცოდველი კრავივით იდგა კარში. კაპიტნის სიტყვით გათამამებულმა რუხაძემაც არ დააყოვნა აეხსნა ჩვენთვის თავისი სიმართლე და წესიერება.

კარგა ხანს ესაუბრნენ ფეხბურთელებს გ. ჯინჭარაძე, დ. ცომაია, „ლოკომოტივის" ფეხბურთის სექციის თავმჯდომარე ა. გუნია. შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ გაგვაცნო თავისი ღონისძიებანი გუნდის შემდგომი მზადების გაუმჯობესებისათვის. „ლოკომოტივიდან" განთავისუფლდნენ ფეხბურთელები მელაშვილი, ზაქარეიშვილი, ჯანელიძე, ტოგონიძე, ქოჩიაშვილი, მკაცრი გაფრთხილება მიეცათ აპრესიანს და კოშკელოვს, რომლებმაც უდიერი სიტყვებით გალანძღეს ერთმანეთი მატჩის შემდეგ, გაფრთხილება მიეცათ პუნჩენკოს, კანდელაკსა და ჩხიკვაძეს, რომლებიც არ ზრუნავენ თავიანთი სპორტული დონის ამაღლებაზე. მითითება ჟორდანიას.

ერთი წლით პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა ო. რუხაძეს. გუნდის კაპიტნობიდან გათავისუფლებულია მ. იაშვილი.

მცხეთას ვტოვებდით გაუგებარი, შეშფოთებული გრძნობით: მიგვიხვდნენ კი ფეხბურთელები, გაიგეს რას მოითხოვს მათგან საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა?

და მაინც გვჯერა, რომ თბილისის „ლოკომოტივი" იტყვის თავის სიტყვას მწვანე მინდორზე, რომ მისი წევრები სანიმუშონი იქნებიან ყველგან და ყოველთვის. ეს მათი საპატიო მოვალეობაა.

**რ. ქორიძე**

# ამის პატიება არ შეიძლება!

... საავადმყოფოში მოიტანეს ჭაბუკის სხეული. მასში ეჭვს ადგილას იყო ჩაფლული ბოროტმოქმედთა დანა. ჭრილობები იყო მსუბუქიც, მძიმეც და სასიკვდილოც — პირდაპირ გულში! ერთი სიტყვით, ადამიანი დაკლეს!... ჩვენ მხოლოდ შემდეგ შევიტყეთ — ეს იყო შესანიშნავი ადამიანი, შესანიშნავი ახალგაზრდა, შესანიშნავი მოფარიკავე მალხაზ ადეიშვილი.

ვინ მიაყენა მას ჭრილობები? განა ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს?! ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ყველა ბოროტმოქმედი დანით იყო შეიარაღებული და ზოგიერთმა მხოლოდ უბრალო შემთხვევის გამო ვერ მოახერხა მისი „ხმარება“. არც იმას აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუ ვინ მიაყენა მსხვერპლს სასიკვდილო და ვინ — მსუბუქი ჭრილობა. მათი დახარისხება „მსუბუქად“, „მძიმედ“ და „სასიკვდილოდ“ მხოლოდ მედიცინური თვალსაზრისით შეიძლება. მაგრამ ცხოვრებაში, მით უფრო — ბოროტმოქმედების თვალსაზრისით, ასეთი დახარისხება უაზრობაა, აბსურდია.

ყველა, ვინც დანას იღებს ხელში და მით უფრო, არტყამს კაცს, არტყამს მხეცურად, ველურ ინსტინქტებს აყოლილი, პოტენციური მკვლელია, სულ ერთია, „მსუბუქ“ ჭრილობას მიაყენებს იგი, „მძიმეს“, თუ საერთოდ ვერ მოახერხებს ამას.

ამას წინათ ჩვენს საავადმყოფოში მოიყვანეს მშვენიერი ვაჟკაცი, რომ იტყვიან, ავ თვალს არ დაენახვებოდა. მას ყელის არეში ჰქონდა მიყენებული ჭრილობა. სწორედ „ავ თვალს“ დაუნახავს იგი! მილიციელებმა საავადმყოფოშივე მოიყვანეს დაკავებული ბოროტმოქმედი. მას არც ცნობია დაზარალებული, არც რაიმე უსიამოვნება ჰქონია მასთან. ჩვენ შეძრწუნებულებმა ვკითხეთ: „მაშ რისთვის დაარტყით დანა?“ „ისე, სიფათი არ მომეწონა“. — იყო პასუხი. არის თუ არა ეს ადამიანი მკვლელი? პირწავარდნილი! ნამდვილი მკვლელია, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული გადარჩა.

არამზადა, რომელიც დანას თუ სხვა თვითნაკეთ იარაღს არტყამს ადამიანს, არ ფიქრობს „მსუბუქი“ და „რბილი“ ჭრილობის მიყენებაზე. იგი თავს ესხმის ადამიანის სიცოცხლეს. ეს ანბანია! ასეთი კაცი მარტო მკვლელი კი არაა, არამედ მოღალატეც — ქვეყნისა და ხალხის მოღალატე! — იგი თავს ესხმის სიცოცხლეს, რომელიც ემსახურება ხალხს და სამშობლოს, რომლის ყველა უნარი და ნიჭი მშობელი ხალხის დიდებას ხმარდება...

პროფესორი ბ. როზანოვი და მისი კოლეგები კარგად წერდნენ „კომსომოლსკაია პრავდაში“ (წერილი — „ამის პატიება არ შეიძლება!“), როცა ომისდროინდელ მოღალატეს ადარებდნენ ყოველ კაცისმკვლელს: „ჩვენ გვახსოვს, როგორ ექცეოდნენ ომის დროს გამყიდველებს. მათ ხელში აძლევდნენ ბარს და შეუდრეკელი ჯარისკაცების მწკრივის წინ თვითონვე ათხრევინებდნენ საკუთარ სამარეს. შემდეგ გაისმოდა ბრძანება: „ცეცხლი“ და არც ერთ ჯარისკაცს არ ეცოდებოდა დახვრეტილი... ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ დახვრეტილი — მტერია. და თუ მას დღეს არ მოიცილებდა, ხვალ ყოველ ჩვენგანს შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა იგი...“

ჩვენც გვსურს, რომ აუცილებლად ასე იყოს: თუ გარეწარი იღებს დანას და კაცს უმიზნებს, მაშინვე უნდა ისმოდეს ბრძანება — „ცეცხლი!“. ჩვენც გვსურს, რომ ყოველი ასეთი მოღალატე საჯაროდ, საჩვენებლად გამოჰყავდეთ და ააშკარავებდნენ საზოგადოებრიობის წინაშე, ყველას წინაშე!

ჩვენ, ექიმები, ყველაზე უფრო ჰუმანური პროფესიის ადამიანები ვართ. მაშ, წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის ასეთი მკაცრი მოთხოვნა ჩვენს პროფესიულ მოვალეობასთან? დაე, ამაზე ყველაზე უფრო ნათელი პასუხი გასცეს გაზეთმა „პრავდამ“, რომელმაც სწორედ ამ საკითხთან — მკვლელებისა და ხულიგნების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა წერილი — „სწორედ ესაა ნამდვილი ჰუმანიზმი!“

ნამდვილი ჰუმანიზმია — გასრისო კაცთმოძულე პარაზიტი და ამით საზოგადოებას, პატიოსან ადამიანებს შეუქმნა ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ პირნათლად და მთელის ძალებით ემსახურონ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხვალინდელ დღეს.

ჩვენ ადამიანების სიცოცხლისათვის ვიბრძვით, მაგრამ არ გვინდა რომ დასტაქრის დანა სხვა დანის ნაკვალევზე ტრიალებდეს; ჩვენ გვსურს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად ბუნებას ვებრძოლოთ და არა იმ უაზრობას, რომ ძალღონით სავსე, ჯანმრთელ ადამიანებს გარეწრები გვისახიჩრებენ!

ამისთვის კი ეს უაზრობა უნდა მოისპოს პირველ რიგში!

თბილისის მე-2 საავადმყოფოს მედპერსონალის სახელით:
პროფესორი მ. ჩაჩავა,
დოცენტები — გ. ახალაძე, ა. ტოგონიძე,
ექიმები — მ. ბერიკელაშვილი, ა. ბამრეკელი, ე. ბამრეკელი, ნ. დარჩია, გ. კილაძე, გ. კუზანოვი, ნ. მთავრიშვილი, ვ. მიქაია, ვ. საყვარელიძე, გ. უუფარაძე, თ. შენგელია, გ. ჩახუნაშვილი, ლ. ჩხარტიშვილი, გ. ჟონიშვილი, ო. ჯანელიძე და სხვანი — სულ 24 კაცი.

## ტელევიზიით — ტოკიო

სხვადასხვა ქვეყნის სატელევიზიო კომპანიების მთავარ საზრუნავს ამჟამად მომავალი ოლიმპიადა წარმოადგენს. ამ მიზნით მსხვილი სატელევიზიო ფირმები აწარმოებენ მოლაპარაკებას, რათა ერთიან გადაწყვეტილებამდე მივიდნენ.

ოლიმპიური თამაშების ტელეეკრანზე მიღების ყველაზე დიდ სურვილს ევროპის ქვეყნები გამოთქვამენ. ამის გამო ყურადღების ცენტრშია ევროპული რეტრანსლაციის საკითხი.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ტელეგადაცემებზე მთავარ პრეტენზიას ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია აცხადებენ. ამერიკული ტელესტარი ევროპაში სატელევიზიო გადაცემათა მიღების მთავარი წყარო იქნება, ამიტომ აღნიშნული ქვეყნის სატელევიზიო ფირმები დიდ ფინანსურ გეგმებს აწყობენ.

როგორც ბელგრადის გაზეთი „სპორტი“ იუწყება, ამერიკელებმა უკვე შეადგინეს იმ თანხის ტარიფი, რაც უნდა გადაიხადონ ქვეყნებმა ტელეგადაცემათა მიღებისთვის. გაზეთის აზრით, ბეგარა საკმაოდ დიდია, მაგრამ სახელმწიფოები ამის ყაბული იქნებიან, რადგან ოლიმპიური თამაშებისადმი ინტერესი განუზომელია.

• • •

სურათზე თქვენ ჩამავალ მზეს კი არ ხედავთ, არამედ გიგანტურ სფეროს (65-მეტრიანი დიამეტრით), რომელიც საფრანგეთის ახალი ტელესადგურისთვისაა განკუთვნილი.

სადგური ხელოვნური თანამგზავრის „ტელესტარ II“ დახმარებით ევროპისათვის ტოკიოს გადაცემებს მიიღებს.



## განაცხადები მოდის და მოდის...

ამას წინათ XVIII ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ჰელსინკიდან წერილი მიიღო. ფინეთის ოლიმპიური კომიტეტი იტყობინება, რომ ამ ქვეყნის ოლიმპიურ დელეგაციაში 98 სპორტსმენია.

ფინეთი 85-ე ქვეყანაა, რომელმაც ტოკიოს თამაშებში მონაწილეობის თანხმობა განაცხადა. თუ მხედველობაში მივიღებთ რომის ოლიმპიურ თამაშებს, რომელშიც 84 ქვეყანა მონაწილეობდა, ცხადი გახდება, რომ რეკორდი უკვე გაუმჯობესებულია.

განაცხადების მიღების ვადა ჯერ არ დამთავრებულა. უკანასკნელი განაცხადი საორგანიზაციო კომიტეტში არა უგვიანეს 16 აგვისტოს უნდა შევიდეს.

იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობის განცხადებით, თამაშების პერიოდში ტოკიოში 100 ქვეყნის 7.500 სპორტსმენს მოელიან.



ფრანგი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — ბასტილიის აღების 175 წლისთავის დღეს, 14 ივლისს, დამთავრდა პროფესიულ ველოსიპედისტთა შეჯიბრება „ტურ დე ფრანსი“, რომელიც ამავე დროს მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს წარმოადგენს. 22 ეტაპის ჯამში პირველი ადგილი 30 წლის ფრანგმა ჟაკ ანკეტილმა დაისაკუთრა. მან 4.504 კილომეტრის გავლას 127:09.44 მოანდომა.

„ტურ დე ფრანსის“ პარალელურად მიმდინარეობდა მოყვარულ ველოსიპედისტთა რბოლა — ე. წ. „ტურ დე ლავენირი“. გაიმარჯვა იტალიელმა ფ. ჯიმონდიმ.

სურათზე: ჟ. ანკეტილს გამარჯვებას ულოცავენ...

▲ **იენი.** გდრ-ის მძლეოსანთა შესარჩევი ასპარეზობა მაღალი შედეგებით აღინიშნა: ოლიმპიური გუნდის კანდიდატებმა დაამყარეს ქვეყნის 12 ახალი რეკორდი. საუცხოო დრო — 29.16,4 აჩვენა 10.000 მ რბენაში ზ. ხერმანმა (მანვე გაიმარჯვა 5.000 მ — 13.55,6). 100 მ რბენაში, მიუხედავად საკმაოდ ძლიერი პირქარისა, ხ. ერბშტიოსერს ჰქონდა 10,4, ხოლო მისი კლუბის — „სკ ლაიფციგის“ გუნდმა გააუმჯობესა ეროვნული რეკორდი —, ამანათრბენში (4×100 მ) აჩვენა 39,8. ორი რეკორდი დაამყარა თარჯრბენში ი. ზინგერმა: 200 მ — 23,5, 400 მ — 50,9. ქალთა შორის თავი გამოიჩინა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში ხ. კლაუს-ლაუფერმა. იგი გადახტა 636 სმ. სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა რ. კუპფერშმიდმა — 175 სმ. სრულიად გერმანიის რეკორდი 400 მ რბენაში გააუმჯობესა გ. შმიდტმა (54,3). რ. გარიშმა ბირთვი ჰკრა 17,26 მ, ხოლო ი. შვალბემ შუბი ტყორცნა 55,50 მ.

▲ **როსტოკი.** 5 ათასი მაყურებელი დაესწრო ხელბურთელთა აქ გამართულ ასპარეზობას. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი — გდრ-ის ნაკრები და ავსტრიის ეროვნული გუნდი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 26:12 (13:4).

▲ **ალჟირი.** თავისი გათავისუფლების ორი წლისთავი ალჟირელმა ხალხმა აღნიშნა ახალგაზრდობისა და სპორტის დიდი ფესტივალით, რომლის პროგრამაში იყო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, ხელბურთში, ველოსპორტში და სხვ.

## დიდი ტურნირები

**ბუენოს-აირესი.** მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის V ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა პ. კერესმა. მან მოუგო ლეტელიეს. წარმატებით ითამაშა მსოფლიო ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმაც, რომელმაც დაამარცხა არგენტინელი რიბინეტი. 5 ტურის შემდეგ ტურნირს სათავეში უდგას ესტონელი დიდოსტატი კერესი — 5 ქულა! პეტროსიანი ლიდერს ჩამორჩება 1 ქულით.

**ლენინგრადი.** სსრ კავშირ — იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩის ბოლო ტურში ვასიუკოვმა მოუგო უდოვჩიჩს, ყაიმით დამთავრდა პარტიები: სპასკი — მატულოვიჩი, ტაიმანოვი — ივკოვი. ჰაბუკმა გრიგორიანმა დაამარცხა კურაიცა. ლამაზი გამარჯვება მოიპოვა ლაზარევიჩმა, რომელმაც მოუგო ბორისენკოს. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. ანგარიში გახდა 37:20 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

**ბუდაპეშტი.** ასტალოშის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. 7 ტურის შემდეგ წინაა საბჭოთა ოსტატი გიპსლისი — 5,5 ქულა. დელსა (უნგრეთი) და ბობოცოვს (ბულგარეთი) — 5-5 ქულა აქვთ.

## უიმბლდონის ჩემპიონები





სურათებზე: უიმბლდონის 78-ე ტურნირში გამარჯვებული ჩოგბურთელები — ბრაზილიელი მ.-ე. ბუენო (ზემოთ) და ავსტრალიელი რ. ემერსონი. პირველმა ფინალში დაამარცხა ავსტრალიელი მ. სმიტი (6:4, 7:9, 6:3), მეორემ — სმიტის თანამემამულე — ფ. სტოლე (6:4, 12:10, 4:6, 6:4).

## მსოფლიო რეკორდი

სამხრეთ ავსტრალია. სისწრაფის მსოფლიო რეკორდი დაამყარა ცნობილმა ინგლისელმა ავტომრბოლმა დონალდ კემპბელმა. თავის „ცისფერ ჩიტზე“, რომელსაც უდგას 4.500 ცხენისძალიანი ძრავი, მან გამშრალი მარილიანი ტბის გლუვზედაპირიანი ფსკერის მილიან მონაკვეთზე საშუალოდ განავითარა 648,588 კმ საათში. კემპბელმა გააუმჯობესა თავისი თანამემამულის ჯონ კობის მიერ 17 წლის წინათ დამყარებული რეკორდი — 634,267. სარეკორდო რბოლის დროს კემპბელის ავტომობილს მოვარდა უკანა თვლის საბურავის პროტექტორი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**ფეხბურთი.** სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის I—II ჯგუფის გუნდებს შორის: 18 ივლისი. „ალგა“ (ფრუნზე) — „ლოკომოტივი“ (თბილისი). ძირითადი შემადგენლობანი. „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 19 ს. 30 წ. 19 ივლისი. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი). დუბლშემადგენლობანი. „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 19 ს. 20 ივლისი „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი). ძირითადი შემადგენლობანი. „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 20 ს.

**კალათბურთი.** 18—22 ივლისი. სტუდენტთა საკავშირო ზონალური თამაშები. კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონი. დასაწყისი 15 ს.

**ცხენოსნობა.** 18—19 ივლისი. „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა. დელისის იპოდრომი. დასაწყისი: 18-ში — 16 საათზე, 19-ში — 12 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01297